

ს ი ა ნ მ ი


მკვირვებელი
ბიზლიოთეკა

№ 14 ივლისი, 1933 წ.

შპსი 40 აპა.

*უკლ. N 84
უბნეკარ 10/20
3.11.33*

საბრძოლველს წიგნის პალატა
შეგიდა _____ 193 წ. _____ ცალი
№ _____
საბინძოლო ცალი



იპ

კაპიტალისტურ ქვეყნებში განსაკუთრებით იაპონიაში და ფაშისტურ გერმანიაში დატვირთვით მუშაობენ სახშიდრო ქარხნები, მაშინ როცა არა სამხედრო ქარხნების მანქანები უმოძრაოდ დგანან. უსახსრობის გამო იორკება სამეცნიერო დაწესებულებები. სამაგიეროთ მათ ხარჯზე ეწყობა სამხედრო საქმის ხელისშემწყობი ორგანიზაციები.

ნახ. ნადარაიშვილის
**ორი
კვირანა**

„სუსტი და თავდაცვისთვის მოუმზადებელი ქვეყნიდან საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ ქვეყნად, რომელსაც შეუძლია დაამზადოს მასიური მასშტაბით თავდაცვის ყველა თანამედროვე იარაღები და მოამარაგოს თავისი არმია გარედან თავდასხმის დროს.“
(ამხ. სტალინის სიტყვიდან იანერის პლენუმზე).

სპ

თვითგაქვლი თვითგაქვლი

საგარეგვოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა საფრთხეში ჩააყენა მარცვლეულის ვადაზე ადგმა და გალევა.
(გაზეთებიდან).

პრტი მშენებელი დღეს, როცა ერთ-ერთ რაიონში იწყებოდა მარცვლეულის ადგმა და გალევა; ამ რაიონის სატრაქტორო-სამანქანო სადგურის ერთმა თვითმკვლელმა (ანუ სამკალმა მანქანამ) თვითმკვლელობა ჩაიდინა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედგა მთელ რაიონს და სავსებით აღშფოთება გამოიწვია, განსაკუთრებით მანქანებს შორის. გამოჩენილს შეადგინდა მხოლოდ ერთი მანქანა.

ამ შემთხვევის გამო დაინიშნა სასწრაფო კვლევა-ძიება, რომლის შედეგად აღმოჩნდა, რომ თვითმკვლელობას არავითარი რომანი არ ედგა სარჩულად, როგორც ამის შესახებ ხმებს ავრცელებდა სადგურის უფროსი. ერთად-ერთი მიზეზი ამ იშვიათი მოვლენისა მანქანათა შორის ყოფილა სადგურის უფროსისა (გვარად მანჩოელი) და თვითმკვლის შორის მტრულად დამოკიდებულება.

როგორც მრავალ მოწმეების ჩვენებიდან ჩანს, სადგურის უფროსს თავიდანვე აუთვალისწინებია თვითმკვლი, ერთ დღეს მივიჩნია მას ჯერ ერთი „შეუფურთხებია, მისთვის, მაგრად მიუბგვია“ და შემდეგ საწყობიდან გარედ გამოუგდია. ამის მოწამენი ყოფილან სხვა მანქანები, რომელთა შორის მანჩოელის ასეთ მოქმედებას აღშფოთება გამოუწვევია და მათ მოუთხოვიათ ამხანაგის უკანვე დაბრუნება.

— ხომ დაიღუპა საწყალი მანქანა... ქარში და წვიმაში ჟანგი მოედება და გაფუჭდება... გათხოვთ, ამხანაგო მანჩოელო, ამბ. თვითმკვლს აპატროთ თუ რამე დანაშაულება მიუძღვის თქვენს წინაშე და საწყობში შემოიყვანათ! — მოახსენა, მანქანების დელეგაციამ სადგურის უფროსს, რომელიც თურმე ამ დროს ნაპოლეონის პოზაში იდგა და დელეგაციას უხმენდა.

— რაო? თქვენ ჩემს ფუნქციებში ერევით? ვინ მოგცით ამის ნება. მე უთქვენოთ კარგად ვიცო ჩემი საქმე. თვითმკვლი გარედ უნდა ეგდოს; გარედ ჯობს. ჩემის აზრით

თქვენც მოგიბდებათ ამ წმინდა ჰაერზე ყოფნა — მიახალა სადგურის უფროსმა მანქანების დელეგაციას და გაუდგა თავის გზას. გზა არც ისე გრძელი ქონდა, იქვე, ღვინის საწყობამდე, სადაც მას მიულოდნენ თავისი ძმა-ბიჭები.

— გარედ სჯობს, გარედ სჯობს, გარედ სჯობს! — დაცინვით გაიძახდნენ მანქანები მანჩოელის მიმართ*) რამდენიმე დღის შემდეგ მანქანებს ხელმეორედ მოუთხოვიათ თვითმკვლის საწყობში დაბრუნება, მაგრამ სადგურის უფროსს მანქანების სამართლიანი მოთხოვნა არა თუ დაუკმაყოფილებია, პირიქით, ასეთი „თავხედობისათვის“ ყველა მანქანები გარედ გამოუყრია. ეს ყოფილა რამდენიმე თვის წინად მარცვლეულის ადგმის დაწყებამდე. ამ ხნის განმავლობაში მანქანებს ჟანგი მოდებია და გაფუჭებულა. თესლეულის ადგმის წინა დღეებში მანჩოელს დაუთვალეობებია მანქანები; ხელად „შეუფურთხებია“ ზოგიერთი მათგანი და კოლმეურნეობებისათვის გადაუგზავნია. კოლმეურნეებს უკანვე გადმოუგზავნია მანქანები, მათი უფარვისთვის გამო. ამ გარემოებას შეუფურთხებია თესლეულის ადგმის საქმე. მანჩოელი ცუდ გზებზე დამდგარა, მივარდნილა მანქანებთან და მათთვის ლანძღვა „გინება დაუწყია“.

— თქვენ არამზადებო, არ გინდათ იმუშაოთ! — მე თქვენ გაჩვენებთ! — მივარდნილა თვითმკვლთან, და მისთვის ფიზიკური შეურაცყოფა მიუყენებია, რის გამო თვითმკვლს თავი მოუკლავს.

სადგურის უფროსი პასუხისმგებაშია მიცემული.

ყუმბარა.

*) ამ დღეებში ხსენებულ რაიონის სადგურის მანქანებმა შუამდგომლობა აღძრეს უმაღლეს ორგანოებს წინაშე ამ რაიონში მანჩოელის დიდი დამახინჯების აღხანიშნავად რაიონისათვის გარედგდომის სახელწოდების მიცემის შესახებ. შუამდგომლობის შედეგი ჯერ არ იცინ.

პერაფერის უბანებს

პარტიის წმინდის მოლოდინში ექვთიმეს ელეთ-მელეთი მოსდის.

— კითხვებს რომ მომცემენ, ეს კი ვიცი, მაგრამ რა უბასუხო, ის აღარ ვიცი! მოდი ერთი რეპეტიციას გავაკეთებ, — გადასწყვიტა ექვთიმემ და თავისი ოჯახის წევრები დასვა წმინდის სამეუღლად.

დაიწყო „წმინდა“.

თავმჯდომარე (უფროსი ვაჟი, კომკავშირელი) — შარშან თქვენ პურის დამზადება ჩაიწყვეთ. რატომ?

ექვთიმე — მე არ ჩამიფლავებია!... მე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარ. დამზადებას ზავოტურნო ატარებდა; მე რა შუაში ვარ...

კომისიის წევრი: (უმცროსი ქალი, პიონერი) — თქვენ ამხანაგო, ქალთა საკითხს საღათ ვერ უყურებთ... ცოლს კრებებზე არ უშვებთ ქარხანაში მუშაობა არ დაანებეთ. რატომ?

ექვთიმე — ეგ უადგილო შეკითხვაა! ჩემი ცოლია, როგორც მინდა ისე მოვექცევი, ტყუილად ვაქმევ პურს?

მეორე წევრი (საშუალო ვაჟი, კომკავშირელი) — ამხანაგო ხომ იღრვებტყვი — ვინ არის ამბ. ანდრეევი? ექვთიმე — ამბ. ანდრეევი?... ანდრეევი ის არის, აი ის რაა.. (ჩუმდება).

ცოლი (ადგილიდან) — იქნებ თქვათ, დავამთავრეთ თუ არა ჩვენ სოცეკონომიკის საძირკველის აგება?

ექვთიმე (შეუბღვრეს) — სოცეკონომიკის? საძირკველის? ასე რომ ამ დღეებში დავამთავრებთ... ესე იგი აგებულა უნდა იყოს... ვკითხავ აგერ აღმასკომის თავმჯდომარეს მშენებლობა იმას აბარია...

თავრე — როგორ დაუშვით თქვენ კულაკი პეტრე საწყობის გამგედ?

ექვთიმე (მოთმინებიდან გამოვლიდა) — რას მიედ-მოედები ბიჭო?

სადაური კულაკი პეტრე? ასე უნდა მომნათვლელს პატარისცემა? თქვენ გააიწყრათ ღმერთი და სატი... გავფორმით გარეთ, ეს მართლაც კომისია არ გამიხდა? (ოფლს იწმინდა).

ცოლი — ჩაჭრილი ხარ ჩემო ექვთიმე, დაგატოვებინებენ მანდატს... შენ ალბათ არც ემსიპაცია გენმის!

ექვთიმე — მე შენ გაჩვენებ ემანსიპაციას (სცემს ცოლს).

ბაჩიბი.

ჟურ. „ნიანგის“ შემდეგი ნომერი, რომელიც გამოვა 15 აგვისტოს, სპეციალური ნომერია კომპარტიის ვი ნოს იუბილეს შესახებ



იქაური შეჯიბრება

ნიანგმა გადინადირა
ქელი მაღალი ტყიანი
მიმოიარა ქვეყნები
ტანკ - ზარბაზნიან - ტყიან

დაიწყო აღმოსავლეთით.
სადაც სროლაა ხშიანი,
სადაც ომია ვართული
არც ისე ცოტა ხნიანი.

აფრინდა იაპონია
ჩინეთი გადინადირა,
მანჯურიასა დაეცა,
ცხვირში სულ სისხლი აღინა.

ქვა ქვაზე აღარ დატოვა,
სადაც დაადგა ფეხია,
მოაჯღა ზურგზე ჩინეთს და
შეადგა დიდი კენია.

არ ყოფნის თავის ქარხნების
თოფი და ზარბაზნიანი
და იარაღის საყიდლოდ
აგენტებს სხვაგან გზავნიან.

მან მიაფურთხა გასულ წელს
დედაბერს მართა ლიბასა,
დაცინვით გამოეთხოვა
და ჩინეთს აცლის სიქასა.

წინათ ჩამქრალი ქარხნები
შიტლერმა განაახლო.
შიგ თოფ-ზარბაზნებს აკეთებს
ომი გვჭირია ახლო.

აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ.
იქით გორასო ძრას უზამ.
უკრაინას და პოლონეთს
დავღმე და უცებ ყლაპს უზამ

ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა,
მიაძახა გზა მომეო.
შენდერსონი და შიტლერი—
ჯულიეტა და რომეო.

მიუნხენსა და ბერლინში
ამათ შქონდათ ბაემანი.
(ალბად აწი დაიწყება
ტრაგედია და რომანი).

როცა ვნახე მაკდონალდი
ბუტბუტებდა თავისთვინა:
— „ომისათვის არ ეშალებ“
ჩემზე ჭორი ვინ სთქვა ვინა?!

იხემც ცხვირი შეურცხვინე,
ჩვენს მეტოქე ყველა ქვეყნებს.
ომში ვნახოთ ერთმანეთი,
იქ რომელი დაიკვებებს!

— რა ქვანა ძმებო, ჯამაათნო!—
ამბობს დინჯად ამერიკა,
თქვენ ომისთვის ეშალებით
თავი როგორ გამერიყა!..

— რა კი საქმე ჯიბრზე მიღვა,
ჩაერია საფრანგეთი,
ვინც ჩამოგრჩეს, შევარცხვინე,
ზარბაზნები მაქვს აგეთი!..

— კარგად ვიცი ვისთვისაც ვაქვს
აქ წამოდგა იტალია,
ჩემს ბიჭობას ომში ნახავთ,
მე სალაუბოდ არ მცალია.

და ამ დროს კი ჩვენ ვაშენებთ
ახალ ქარხნებს და გიგანტებს.....
დრო ახლოა...მაღე იქაც
ოქტომბერი ცეცხლს დაანთებს!
გმუპი

ქველი და ახალი მარსი

ნახ. ნადარეიშვილის



ქველი მარსი:

ძლიერო ძევს, პოსეიდონ, ამას რას ვხედავ?!
ჩემზე საშიში და სასტიკი თუ რამე იყო.

მე არ ვიცოდი, არ მჯეროდა... მაგრამ ყოფილა.

ვინ არის აგი აბჯროსანი? ცხვირი არ უჩანს,

წელზე შკიდია ათასგვარი იარაღები:

მხრჩოლაგი ვაზი, ბომბი, ტყვია და საწამლავი;

ტანკებზე დადის, ზღვაში ცუ რავს, ჭაერში ფრინავს;

ზარბაზნიდან შორს მანძილზე ანგრევს ქალაქებს;

ყოვლის შემძლებმა გადალახა სავრცე და დრონი.

ჩემი აბჯარი, ჩემი ფარი და შუბ-ისარი.

სასაცილოდაც არა ჰყოფნის ახლა ამ უცნობს.

ახლა კი თითონ მაცანცახებს ამისი შიში.

ნეტა ვინ არის ეგვომ მკაცრი და საშიშარი?

ახალი მარსი:

ჩემო ბაბუა, შვილიშვილი რად ვერ მიცანი?

შენ გიკვირს ჩემი იარაღი და კა ზმულობა.

ეს კიდევ რაა?! უნდა ნახო ჩე მი საწყობი,

სადაც მალულად დამიწყოია რამე-რუმები,

რომელთ შესახებ არაფერი არ იცის ხალხმა.

ჩემო ბაბუა, შვილი-შვილი რად ვერ მიცანი?



რაც შეეხება ბენიამენს...

(ტვ. დამკვეთთა კონფერენციის გამო)

რაც შეეხება ბენიამენს, მას თავი დამკვერელად „მიაჩნდა“.

— ჩემო ძმაო, თავს დამკვერელად რომ ვაცხადებ მე ანგარიშიც არ მავიწყდება—„განუმარტა“ მან ქარხანაში სოფლიდან ახლად მოსულ მუშას პავლია საკვეთელაძეს.

— რა ანგარიშია ბენია?

— რა და დამკვერელი რომ გქვიან კაცი ხარ ქვეყანაზე, ყველაფერი პირველ რიგში შენია, მომარაგება უპირატესი გაქვს, ჯილდო მოდის რაფარც გინახავს ბეირი, წითელი დაფა ხომ შენია და შენი, თეატრი უფასო, ბინაში შელავათები, კაი დასასვენებელი სახლებში და კურორტებზე გაგზავნას ხომ რალა თავი უტკივა.

— რაფერ უნდა მაგი დამკვერელობა რომ მეც ჩავეება?

—ბი-ბი-ბი-ბი, ჩინიბითა ბენიამ, რაც შეგებება შენ, ბიბია კოლმეურნე ხარ, მართალია ტრაქტორიც ნახე, ახალი ცხოვრებაც გაიგე, კულაკები როგორც კლასი თითქმის მიალიკვიდე, მარა დამკვერელობა სხვა რამეა, იმას ვერც მიხვდები, მა სხვა რამე სჭირია.

— რა სჭირია ბენია?

— რა ჩემო ძმაო და ტემპები, ენტუზიაზმი, ინიციატივა, აქტიუობა, დისციპლინა, სტაჟი, პრაქტიკა, ტაქტიკა, იერიში, შეტევა, ავრალი, დარაზმვა, თვითმობილიზაცია, დარტყმა და სხვ. მრავალი—მიხვდი?

პავლიას მართლაც „მიუწოდებელ“ საქმედ მოეჩვენა ამდენი „რაც შეეხება“ შოვნა.

მაგრამ ნახეთ პავლიას გაკვირება, როცა მან წარმოების ავ-კარგში ჩახიხდა. ვაიცნო ნამდვილი აქტიური დამკვერელები, მათ მაგალითზე გადაკეთდა ვახდა ქარხანაში თითოთ საჩვენებელი მუშა. წითელ დაფაზეც მალე ამოიკითხა თავისი გეგარი. მის გეგარდით, „შე დაფას ბენიამენი „ამშვენებდა“.

— რაც შეეხება მაგ დაფას, მიდგომით ყოფილა ბიბია,—„განმარტავდა“ ისევე ბენია,—მიდგომით ყოფილა თვარა, გუშინდელ კოლმეურნე ტეტისა წითელ დაფაზე სჭიმავენ მე კი — მახაბარ უბენ!

— შენ სამუშაოს აცდენ ბენია, გეგმას შლი!

— რა უყოთ მერე? რაც შეეხება მე ძველი მუშა ვარ. ცხრაას ხუთი გაგიგონია? აი მაშინ მე მონაწილეობას ვლებულობდი.

ბენიას ხშირად უყვარდა ამ სიტყვის გახსენება, მაგრამ არ ამთავრებდა თუ რაში „ლებულობდა მონაწილეობა“.

მონაწილეობას ვლებულობდი ჩემო ძმაო და ქვეც მაქვს სტაჟი. ჰო და ამ სტაჟიან კაცს უკან მწვეთ და პავლიას აძლევთ ჯილდოს? მაგი მიდგომაა.

პავლია მალე ყველა გაზეთებში მოხვდა, როგორც საუკეთესო დამკვერელი, ენტუზიასტი, ახალი აღმადიანი და შრომის ნამდვილი გმირი.

—დიდი გმირობაა მამაუცხოვრდა —ცხარობს ბენია—დიდი გმირობაა თუ გეგმას 80 პროცენტით გადააქა-

ვს, მეც რომ გადამეჭარბებია, ქე შეიკარულელებდი ასსამოცი პროცენტით, მარა მიდგომაა მაგი.

— შენ დისციპლინას არღვევ ბენია, გაცდენებს ზრდი, ხარისხს აუარესებ. პავლია კი სხვა მოწინავე მუშებს გაუსწორდა ნაბიჯში ახალი აღმადიანი ვახდა, დამკვერელი.

— რა უყოთ მერე? სამაგიეროთ, ძველი ვარ, ცხრაას ხუთში ხომ იცი მონაწილეობა მიმილია. მაგი მიდგომაა ბიბია.

ქარხანაში ჩატარდა დამკვერელთა კონფერენცია. განიხილეს ჩამორჩენის სალოკვიდაციოდ ბრძოლის გაძლიერების საკითხი. დაჯილდოვც საუკეთესო დამკვერელები. (პავლიაც მათში იყო) გამოამქლავნეს შრომის დეზერტირები და ცრუ დამკვერელები (ბენიაც მათში იყო). აიჩიეს მოწინავე დამკვერელები ტფილისის საქალაქო კონფერენციაზე გასაგზავნად (პავლიაც მათში იყო) მოხნეს სიმულაციანტები, ზარმაცები (ბენიაც მათში იყო).

— ეს კი ნამდვილად მიდგომაა, პროლეტარული კლასობრივი, სალი მიდგომა-შრომის გმირების ამალღეება, დეზორგანიზატორების განდევნა —ეს სწორი მიდგომაა—ასეთი მიდგომით უნდა გავშალოთ შეტევა საწარმოო ფრონტზე, ისმოდა კონფერენციის დარბაზიდან.

რაც შეეხება ბენიამენს, ის კი ქეჩოს იფხანს ბრაზით.

თარსი

მ ა რ ა ხ ა რ ა ჯ ა

ნამდვილი აზგავნი

ერთ დღეს სამსახურიდან ლადო ჩაასლებრივ მხიარული აღარ დაბრუნებულა სახლში. მას სამარცხვინო საქმე დემართა: ხელფასის ფონდის გადახარჯვისთვის მუშაგლებისა გამოუცხადა სასტიკი საყვედური და საქმე გადაეცა სასამართლოს.

— ლადო ხვალისთვის სადილის ფული აღარ მაქვს!—მოაგონა ცოლმა კარებში შესვლისთანავე. ლადომ მიუხედავად იმისა, რომ უნდოდა თავი შეეკავებია, გაჯავობით უთხრა ცოლს:

—თქვენ არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობთ, როგორც გინდათ ისე ხარჯავთ. მე კი გადახარჯვისთვის...

— რა გადახარჯვისთვის? შეეკითხა ცოლი და ტუჩებზე პამალა შეუქმნევლად მოიშორა, რადგან ის უფრო ანერვიულდება ქმარს.

ლადომ ხელად ოჯახის წევრების მგონივრი მიტინგი მოიწვია და დაიწყო:

— აწი ასე ცხოვრება არ შეიძლება, ოჯახში ყოველთვის უნდა გადახარჯვა გვაქვს.

— არ მესმის რა არის ეს გადახარჯვა! — რა არის და როცა თვეში 200 მანეთი ჯამაგირი მაქვს და შენ 800 მანეთიც კი აღარ გყოფნის ამას ჰქვია გადახარჯვა.

ვაწევებ სასტიკ კონტროლს, დღეიდან ვადგენ ხარჯთაღრიცხვას და თუ გადახარჯვას ადგილი დაურჩა, სასტიკ საყვედურს მიიღებთ და საქმეს სასამართლოს გადავცემთ.

— რაო? შენ აღზად ვილაც ვარსიყუები და ფულების ეკონომია გჭირია!—თითქოს მიუხვდა ექვიანი ცოლი.

— გადახარჯვას აწი აღგრილი არ ექნება! თქვა ოჯახის ერთმა წევრმა.

— ვაცხადებ თავს დამკვერელად!—დაამატა მეორემ.

—მე ვიწვევ ნინიჩქას!—ჩაერია მესამე. ლადოს ძალზე მოეწონა, რომ ოჯახის მფრინავი მიტინგი აქტიურად ტარდებოდა.

— ვინც დამკვერელობაში გაიმარჯვებს, მას ვუშოვი სანატორიუმის „პუტიოვკას“!

—წამოიძახა ცოლმა.

გააფორმე: ხელშეკრულება და აშით დისურა მიტინგი.

გავიდა რამდენიმე თვე და ლადომ შეამოწმა ხელშეკრულების პირობები. გაშორკვა, რომ ცოლს ნ თვის განმარტოვება აისახი მ-ითვის ეკონომია გაუკეთებია.

— ვაჰ! ეგ როგორ მოხდა ქალბო მე 1200 მანეთი მოაჯიბანე და შენ კი ორასი მანეთის მებტი არ დაგხარჯავს?

ლადომ უყადა ცოლს „პუტიოვკა“ და აგარაკზე გაისტუმრა (ასეა წესი—დამკვერელს დასაწუქრება უნდა).

დარჩა ლადო მართო ოჯახში, რომელიც მართობამ ფიქრების მორევში ჩაფლო იგი უკმადა უფრო სადარდებლად დარჩა თუ საიდან მიიღო ცოლმა 1000 მანეთის ექონონია.

—ლზად ვინმე მდიდარი კაცი შეიყარა. მიგრამ არა, ეს ამბავი მას არ სჯერა ლადო ასეთი ფიქრის წინააღმდეგი იყო საერთოდ. ამიტომ მოწვევის თავის დადწევს მიხნით დააპირა ბაღში გავლა, ახალი კოსტიუმისა და კოვერკოტის პალტოს ჩაცმა. გაალო ყუთი, სადაც ტანსაცმელი ჰქონდა შენახული, მაგრამ კოსტიუმის ნავილად მატარა ქალაღის ნაგლეჯი ნახა შიგ.

—ლადო, კოსტიუმს ძებნა არ დაუწყო, ის მე გავყიდე და ათასი მანეთი ეკონომია რომ გიჩვენე, ისიც იქიდან იყო. არ მოწყინო, ჩამოვალ, მოვრიგდებით“.

სწერდა ცოლი. ლადოს ელდა ეცა, აღარ იცოდა რა ექნა. იმ დღეს ცოლსაც ელოდა. დარდებამ გასაქარებლად კომუნარების ბაღში წავიდა, „კარუსელზე“ წითელი ფაფარიანი ცხენი აირჩია და გააქენ-გამოაქენა.

აკადემიური სპილო

(ალმოსავლური იზამ-არაქი)

ნახ. ლ. გულიაშვილის.



ავად გახდა, დასნეულდა
ვებერთელა ერთი სპილო.
ხასიათი შეეცვალა,
ზნე დასჩემდა სათაკილო.

თავისიანს არ ინდობდა,
ყველას გაჰკრა ზლაგვი კბილი,
გარეშე მტერს ივიწყებდა,
მასთან იყო უფრო ტკბილი.

მტრებად ჰყავდა მეზობლები:
მგელი, ვეფხი და ზღვის ლომი,
რომლებს ფიქრად ჰქონდათ ასე:
„დასუსტებს შინა ომი...“

ჯერ დავიცდი ცოტას კიდევ,
სუძღურდება მუდამ ჩავგრით,
დაგლახდება და მერე კი...
მერმე მოვსპობ ერთი აკვრით.

მართლაც ასე მალე მოხდა...
გამოვარდა იქვე მგელი
(სხვამ არავინ დამასწროსო)
და ჩაავლო სპილოს ხელი.

ჯერ ხორთუმი მიამტვრია,
გაუტეხა შუბლი, ცხვირი!
სპილოს არვინ მიეშველა,
თუმც საწყალი მწარედ ჰყვირის.

ამ ამბავზე გაგულისდა
როგორც ვეფხვი, ისე ლომი:
—მგელმა ეს რა გაბედლაო!
ხომ არ უნდა ჩვენთან ომი?

მაგრამ როცა დაინახეს
მგელი ვეფხვობს, მგელი ლომობს,
არა მათზე უფრო ნაკლებ
ის სპილოსთან იბრძვის, ომობს...

აგერ კიდევ წააქცია
და დააძლა ზურგზე სპილოს,
ერთ ყლაპვაზე ილუკმება
მგელი ხორცის თითო კილოს.

ხედავს ამას... და ვეფხვს და ლომს
პირს სდის ნერწყვის ნაკადული.
მაგრამ თავი შეიკავებს,
დაიმშვიდეს ასე გული:

„დავაცადოთ. ჩვენც შეგვხვდება
მისი ომის ნაყოფიო.
გაძლება და აღბათ წავა,
ჩვენც დავგრჩება საყოფიო.“

ჯერ ამ იგავს არ აქვს ბოლო,
ჯერ არ არის იგი სრული,
მაგრამ ყველამ კარგად ვიცით,
რაც იქნება დასასრული.

ჯმუქი.

„ფუსტი--ფუსტი“

ო რ ი ს ი

მოსკოვიდან კავკავამდე ორი ათას კი-
ლომეტრზე მეტი მანძილზე გაღმავლებული
14 საათის განმავლობაში.

ნახ. თ. შერლინგის.

— მოსავალი რაც შეიძლება გა-
აღიღეთ, შეძლებული განდითო—გე-
სმის, ფრიდონ?!—მიმართა საბჭოთა
მამულის დირექტორმა, გედეონ გა-
დასრაძემ თავის საქმეთა მმართველს,
ფრიდონ ფარიაშვილს და მი-
უთითა ცენტრალურ ორგანოში ამ
საგანზე მოთავსებულ წერილზე.

ფრიდონმა ფრიად მომლიძირ-მო-
ხარულ სახით თავი მდებლად და-
უკრა თავის უფროსს და გულში
გაიფიქრა; „ვინ იცის, იქნებ მართ-
ლაც მალე გვედირსოს სასურველ-
სანატრელი ძველი დროის მსგავსი
მდგომარეობა.“

— მშაშასადამევე, — განაგრძო
როლში შეტულმა გამგემ: ჩვენ უნ-
და ამ თავიდანვე ვიზრუნოთ ამ სა-
სარგებლო და სასიხარულო ღოზუნ
გის განხორციელებასათვის. პირვე-
ლყოვლისა, ისეთი ტემპი უნდა ავი-
ლოთ, რომ სხვებს გავასწოროთ.

— მართალი ბრძანდებით, — უკ-
რავს კვერს ფრიდონ ფარიაშვილი,
მხოლოდ არა ნამდვილი კვერით,
არამედ ვეებერთელა თავით, რომე-
ლიც დიდ უროს მიუგავს ფრი-
დონს.

— უნდა დავავლოთ მთვარ
აგრონომს, რომ ცნობებში მოსავა-
ლი რაც შეიძლება „დააფუსტოს“...

— დაახ, უნდა „დავაფუსტოთ“ —
განაგრძობს თავის კანტურს ფრიდონს.


— ამხ, მარცვალაძე, — მიმარ-
თავს დირექტორი მთავარ აგრო-
ნომს, — მარცვლეულის მნიშვნელო-
ბა თქვენ კარგად გესმით. აგრეთვე
ის დირექტივა, რომელიც... — და
აქ დირექტორმა გედეონმა აუხსნა
მას მოსავლიანობისა და გამდიდრე-
ბის ღოზუნგის თავისებურობა—ად-
გილობრივ „თავისებურ“ პირობების
ნიხედვით.

სულელი უნდა ყოფილიყო მარც-
ვალაძე, რომ დირექტორის აზრი და
ზრახვა იმავე წამს ვერ გაეგო.

— დაახ, უნდა „დავაფუსტოთ“ —
მოსკრა მან მოკლედ და მკაფიოდ,
ხოლო იმავე დროს გულში გაიფიქ-
რა, რომ ამას მოყვებოდა სახირო
შედევნი, რაიც ჯალაბობასაც გამო-
ადებდა და მასაც!

გაილესა „ნამგვალი-რკინა“, მან
ზომკო და დააწვინა დამწიფებული
პური. გაილესა, დადგა ხვავი, მოსა-
ვალმა ბეღლები პირამდე აავსო მა-
გრამ ჩაბარების დღე რომ დადგა,
ეს მოსავალი უცბად განახევრდა.

— კარგია, ეყოფა—სულგრიდლო-
ბით მოაქრევიანა გადახრაძემ თავის
როლშიშესულ აგრონომს, რომე-
ლიც მკლავებ-წაკარწახებული და
კალამ მომარჯვებული თავს ადგა



მისტურავს ჩემი შაეროპლანი,
ქვემოლ გაშლილან მინდორ-ველები,
მიტოკავს გული ნეტარ სიამით,
კოლმეურნეთ რომ თავზე ვეღლები!

იფრინე ჩემო შაეროპლანო,
გასჭერი სივრცე, სისწრაფით გახწი,
გალამატარე მაღალი მთები
და მოზიბინე მინდორზე დამგვი!

კოფრებით ნაჩვენებ მოსავალს და
დაცდილი დოსტაქარივით კვეცდა
მას, მხოლოდ არა სადოსტაქრო და-
ნით, არამედ კალმით.

„ხარი სხვისა, შოლტი ტყისა.
გაჰკარი და გაუძახე, შენი რა იხარ-
ჯებისა“—ო, ამბობს ბრძული ანდა-
ზს და მარცვალაძესაც ეს ანდაზა
პურსა და მოსავალზე გადაჰქონდა,
თავისი კალამი შოლტად წარმოი-
დგინა.

მაგრამ შოლტი-მოლტი თქვენ უნ
და გენახათ მაშინ, როცა რაიონულ
პოლიტიბიურო საქმეში ჩაერია და
ფრიდონ ფარიაშვილის ნაწერებს
ფარდას ხდიდა. ბეღლებში პური ნა-
ჩვენებზე თითქმის ორჯერ მეტი აღ-
მოჩნდა.

— რატომ?
ზუსტი ცნობები...!

დაიწყო ფრიდონმა დეკით, მას
წამოეშველა გადახრაძე, ამ უკანას-
კნელს აგრონომი მარცვალაძე და
ერთხელ კიდევ დატრიალდა ცნობი-
ლი თაღგამის მიწიდან ამოღების
არაკის-ამბავი.

არაკის ამბავი, მაგრამ მიწიდან უკ-
ვე ამოღებული და მოსავლის სა-
ხით ბეღელში მოთავსებული მარ-
ცვლეული მარცვალაძესა და სხვე-
ბზე უფრო მჭერმეტყველურად და-
ლაღებდა ამ უკანასკნელთა სიზუსტ
სიფლურტისა, კიდევ უფრო უარე-
სი ზრახვების შესახებ. ამიტომ...

დადგენილება ამ საქმის შესახებ
იმდენად საინტერესო არ არის, რა-
მდენადაც ის, თუ როგორ ესმის
ჩვენში ზოგიერთს ზოგი ღოზუნგის
მნიშვნელობა. მარცვალაძის მიერ
მოსავალ მარცვლეულის განგებ შე-
მკირება, ფარიაშვილის მიერ მისი
დაფარვა, ხოლო გადახრაძის „სი-
ზუსტეში“ გამოჩენილი გადახრები
მართლაც თავს გადახვრავდა, რომ
პოლიტიბიუროს დროზე არ აღმოე-
ჩინა ამ „სიზუსტის“ სიფლუსტე და
ქურდები ზე პირდაპირ მთხლეზე
არ დაეკრა.

მთხლე ქურდების თავს, თორემ
ჩვენთვის ეს ხასხასა ახალი მოსავ-
ლის ხორბალია, მომავალი პური და
სოციალიზმის პირნათელი სამსახუ-
რია.

პეტროლიომილან კავკავამდე სამი კილო-
მეტრე გზა გავიარე ორ საათში ტაქით.



ცხენო ჯანბრაკო, ულუფავ მგელის,
ცოტა სიჩქარით გააღვი ფეხი,
შინ იჭვიანი ცოლი მიმელის
თავს დამატყდება იმისი მხეი!

ბარათშვილმა რომ გააქენა
მისი არ გცხია შენ არაფერი,
ბარამი იყოს მშრომელის მიერ
შენთვის ნაქმევი თივა და ჭერი!
ს. თ.—ია.

გასაქმება ტფილისში

— პავლუსტა, დიდის კვაყოფილებით!—
ფიქსარი ივან ვასილიევს, რომელიც ტფი-
ლისში პირველად არის ჩამოსული გუმბრა-
ნიკის საწარმოთა მიღწევების გასაცნობად
და ჩვენი გამოცდალების გადასატანად
„მუშაბორობის“ მასიურად დამზადების საქ-
მეში.

— მაშ, განმიბარტავთ ყველაფერს?
— რამდენადაც შევიძლებ!
და ჩვენ გავგედიტ ქალაქის დასათვალიე-
რებლად. ყოველ შეკითხვას ვუპასუხებდი
და უცხო მოქალაქე დილა მადლობით
ბლოკნორტში იწურდა ყველაფერს.
— აი, ის მოქალაქე წყალს სვამს, მეო-
რეს მის ჯიბეში აქვს ხელი... ამოიღო
კიდეც.

— რატომ?— შეკითხება ვასილიევი.
— აქ გასაქმეო არაფერია, — ვუპასუხებ
მე, — ჩემი ჯიბე შენი ჯიბე — ძველი წყო-
ბილების წაშთაა, რომელიც ძირშივე უნდა
ილიკეთოს, „შენ-ჩემობა“ ტფილისში ძა-
ლიან მალე მოისპოვა, თუ არ გავრათ,
წავიდეთ ბაზარში, იქ უფრო თვალდაზნუ-
ლად დარწმუნდებით. ხშირია შემთხვევა,
როცა მოქალაქე თავისი ჯიბიდან ამოი-
ღებს ფულს, იყიდის, ვთქვათ ინდოურს,
ინდოური მიაქვს მეორე მოქალაქეს, ანდა
გლხეი ჩამოიტანს კიტრებს, პამიდორს, ივა
ჭრებს, შეაქტუნებს ფულს, ფული მი.ჭეს
სულ სხვა მოქალაქეს. ან თუნდაც ავიღოთ
მოქალაქეთა ბინები. ხშირია შემთხვევა,
რომ მოქალაქე შედის მისთვის სრულიად
უცნობ ბინაში, ბირჩეხს რაც მოეწონება და
მიაქვს.

— აბან თქვენ არ უნდა გავაკვიროს ისევე,
როგორც ეს არ აკვირებს მილიციას.
— და!
— და! — ვუპასუხებ და განვაგრძებთ გზა.
— აქ რად არის ამოდენა ხალხი თავმო-
ყრილი? — მიმითითა ტფილისოფმრეწვის მა-
ლაზიაზე.
— წყალს სვამენ.

— სულ ყველა ხომ ერთად ვერ და-
ლბებს?
— არც ამან უნდა გავაკვიროვოთ, აქაური
წყალა ისეთი ღირსებისაა, რომ როცა ერ-
თი სვამს და სხვები უყურებენ, ისე მოქ-
მედობს დანარჩენებზე, რომ არც არის სა-
ჭირო მაინცდამაინც პირში ჩაისხან. აი
ხომ ხედავთ, ერთმა დალია და დანარჩენები
წავიდ-წამოვიდენ კიდეც. (მოქალაქეები
იგინებოდნენ ქართულად, მაგრამ ჩემს მოსა-
უბრეს განუმარტე, რომ კვაყოფილებას
გამოსტკეპავენ).
— და??!
— და, ვუპასუხებ და განვაგრძებთ გზა.
— რატომ ასე ვაკავაყავებოდა ქუჩები
ელექტრონის სონათლით, ხოლო აი აქ კი
მივლ რაც ბინებში კარტოფილის სანთლე-
ბი აქეთ ათებულნი?

— ჩვენი ქვეყანა პოეტების ქვე ანაა,
ისეთი სახლი ტფილისში წარმოუდგენელაა,
სადაც ერთი პოეტი მაინც არ ცხოვრობ-
დეს. პოეტებს მისტიურობა ახასიათებთ, მეტ
წილად სანთელი ურჩენიათ ელექტრონს.
ელექტრონის სამხარეთელოც არ ურდმევს
მთ მყუდროებას.

— და??!
— და, ვუპასუხებ და განვაგრძებთ გზა.
— რატომ არაინ ამველებს ამ ხალხს?
მოქალაქე ერთმანეთი! — გაძეწა ვასილიევი
გასაშველებლად.
— მიიღა კაცო!
— მილიციას დაეუძახოთ, მილიც...
— დაწყნარდით, აქ თითოეულმა მოქალა-
ქემ (და მილიციამ მთ უმეტეს) კარგათ
იცის, რომ უმზავზოდ კაცი კაცს არ შემო-
კრავს.

— მერე!
— მერე, სხვის საქმეებში ჩარევა დასა-
ძაბისად ითვლება.
— და!
— და! — დავუდასტურე მეც.

შენ ხარ ჩემი სიხარული
შენ ხარ ჩემი იავ-ვარდი.
მე უშენოდ ვერ ვიცოცხლებ,
ისე მაკრალ შემოყვარდი.
ხედავ გულში ტრფობისავან.
როგორ მაგრალ ჩავიკარი?!
ჩენი ეგზომ სიყვარულით
ერთა ღიფას წიხლი ვკარი.
დამიფერე, დამერწმუნე,
მე სხვა არ მყავს შენისთანა.
არ ვაბედო შენ ურჩობა,
თორემ დაგკარ გულში დანა.
თუ ეს მსხვერპლი არ გეყოფა
შემოგწირავ კიდეკ მრავალს.
მაგრამ კარგად დაიხსომე,
გზას არ მოგცემ სხვაგან სავალს.



მე უშენოდ ვერ ვიცოცხლებ,
მი არა მაქვს გასაქანი...
თორემ თავში იმდენს გირტყამ,
გადაგმცეს სიგრძედ განი.
ჯანგი.

უცხო მოქალაქეს გაუთავდა ბლოკნორტს
ქალაქი, გამოიღო ილიდიდან პარტველი
და უნდა გაეხსნა, რომ ვილაც თმა გაბად-
რულმა მოქალაქემ ელიდან გამოსტაცა და
გაიქცა.

— რატომ პორტველი? — შემეკითხა მო-
ქალაქე.
— პორტველი იმიტომ, რომ სხვა
ფერი გქონდათ ხელწამოსაკრავი.
— და!
— და! — ვუპასუხებ მე.

სამაირ-ბენ-შანი.



ზ. გ.

ნახ. ლ. გუდიაშვილის.

სურათების გამოფენაზე

დაკავშირე (მხატვრებს):—მე გობრებო, დავგინახტეთ ჩვენი ტრესტის ცხოვრებიდან სურ...
მხატვრებში: დრო არა გვაქვს.. ვერა ხედავთ, რომ არ გვცალია?!



ქორთი ქორთ-ქორთი

ეს იყო 1931 წლის გაზაფხულზე ქიზაყში, სოფელ საქობოში, გლეხ ლიონა ბეროშვილის გომბორიდან მოულოდნელად გაჰქრა ორი კედლია ცხვარი. დაკარგვა მეტად უცნაურ პირობებში მოხდა. ცხვრები დიღახან ძებნეს, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს, და საქმეც ამით გათავდა.

მას შემდეგ წელიწადზე მეტმა განვლო. წნორის სადგურზე, რომელიც საქობოშივე მდებარეობს, ჩივინის გზის მუშებს სამი სული ჯიშინი, იორკშირის ღორი ჰყავდათ. (მათ შორის ორი—მაკე). ერთი მათგანი მეტად ლამაზი და თვალწარმტაცი იყო ღორის პირობაზე. ბაბასავით თეთრი, ჩასუქებულ ტანზე იორკშირის ტახს კლდიან ყურების ძირამდე მაყვალავით შავი ზოლი გადასდევდა. ზვინივით დაგორებული, დინგმოგრუხილა ყურბანტურები, როგორც აქ იტყოდნენ, ავი კაცის თვალს არ ენახებოდათ.

და მოხდა საკვირველება: 1932 წლის აგვისტოში იორკშირის სამი ღორი რაღაც უჩინარმა ძალამ ერთბაშად ჩაჰყალბა.

ზამთრის პირზე გლეხ ნანობაშვილის ოთხმა ჩრეულმა ღორმა (თითო არა ნაკლებ 6 ფული წონისა) სამთა იორკშირელთა შუაზე ხედრი გაიხარა. სოფელი ისევ შეწრაჟდა, კვლავ დაჰყო ძებნა, კვლევითი ძიება, მაგრამ ამაოდ: იყო და არა იყო რა,

ღორის ნისლივით გაჰქრა 4 უზარმაზარი ღორი.

შემდეგ ეს სერი ეწვია გლეხკომის გომბორსაც: ერთად-ერთა იორკშირის სანაშენო ღორი, სოფლის უკანასკნელი სიამაყე, თავისი 7 გოქით, უცებ ხელიდან დაუძვრა გლეხკომს. არავინ იცოდა, ცამ ჩაყალბა თუ მიწამ რვა სული ღორი.

30 დეკემბერს გლეხკომის სალორედან ისევ ერთბაშად და უცნაურად დაიკარგა ორი: ღორი და ოთხი კერატი.

დრო მიდიოდა. უხილავი ხელი სოფელს არ ეშვებოდა, შუა იანვარში გლეხკომის გომბორიდან ისევ ერთბაშად გაჰქრა ორი დედა ღორი და შვიდი ბურჯაკი. (აწუშვითობით ჩვენო კარგო, დაბრუნებულს ნულარ გველით!) აშუღად საქმე ღორებით არ გათავდა. ინტარხსენებულთ თან გაჰყვა გლეხკომის ქედმაგარი, რქებდაგრეხილი გომბორი ხაროც.

23 მარტს ქალაქის საგადამყოფოს სალორე საშუღამოდ და პატრონთა გაუფრთხილებლობად დასტრვა იორკშირის სამმა ღორმა ღამე ამ უბედური შემთხვევის დროს ავღრიანი იყო. უჩინა ღორებმა გამოსალმების წინად ორობებდნენ თავიანთ ჩლიქების კვალად დასტრვებს, ღორის კოპია ქაჩაჩებს ნიშნის ტალახში განუხრელად მისდევდა ორი კაცის ნაკვალევი. და აღსდგა ძებნათ

ღორებისა მიეღო საგადამყოფო: ტრამპეტნი და დოსტაპარბი, გინცილოგინი და სტომატოლოგინი, ოტუსისტინი და ვენეროლოგინა, დანი მოწყალეებისანი და სანიტართ სანა და გასდის მთი კვალთა ღორისა და კალთა, მიწივალს ქალაქთა სერებიდან ქიზაყის სოფელს საქობოსა შინა... და ბედმა დაქუხლთა მამებართა მათ. სოფლის თავზე სადაც გზა ქნი შარზე გადავიდა, წარიშალა კვალნი ღორთა და კაცთა. მდევარნი ისინი პირმქმუნვარი და სახე დახოკილი უტუიკინენ სახლისა თვისისაკენ...

მოქმედება საქობოდან ტფილისში გადმოგვაქვს. რიყის ქუჩა სახლი № 57 და იგივე რიყის ქუჩა სახლი № 59. ორთავე ამ კერტი რაცხვია სახლთა მცხოვრებნი „საბჭოთა სტუდენტები“. შთავსებით წითელი ჯვრის „თანამშრომლები“ და ზოგნიც ტფილისის ქარხანათა „გომბორი“. ვინო ბავშვილო, ხინონ ჯიხარიძე, მელოტონ ხარაზიშვილი, ვლადიმერ მოლაშვილი, ვახილ ჯიხარიძე და შალიკო ბაკაშვილი, ყველა ძმათ ნათობით ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობით ნახარები, ერთი სოფლის და ერთი კუთხის ჩაღქნი ახალგაზრდანი. კულაკების შვილნი, 1930 წელსი განკულაკებული და სოფლიდან გადასახლებულნი, შემდეგ კი ადგილობრივ გულჩვილ ხალხის მიერ უკანეც დაბრუნებული, ქონება წამავე დაყო



ნახ. ღონის.

საქართველო
გაზეთი

კომუნისტური კონფერენციის „ვილუპავი“ რომის პაპი:—მადლობა ღმერთს, როგორც იქნა შეთანხმდნენ იმეში, რომ მათ შორის არასოდეს უახდება შეთანხმება!



1936

დეს და ტფილისს მიაშურეს, აქაც აღმოუჩნდნენ გამოცეკვულ მტარებს მწყალობენი ბინაც იშოვეს, სამსახურშიც მოეწყვენ, კავშირშიც ჩაერთოვნენ, სააწვადლებელიც შევიდნენ, რკინის გზით თავისუფალი მგზავრობის საშუალებითაც აღიჭურვენ. შეუდგნენ ტკბილ, უდარდელ ცხოვრებას სოფლიდან გამოყოლილი ხელის ქუჩუკით. მთელი წარსული ზამთრის განმავლობაში რიყის ქუჩა აკლბული იყო ახლად მოკლენილ ყარაჩოოილთა გადაბმული ქვიფით, სიმღერით, ორგია ღრიალ-ხრიალით, ხშირად ისმოდა სიმღერა: „იქ მოკლათ თეთრი ტახი“... და ამ სიტყვების წარმოთქმის დროს სიმღერას სიცილ-ხარხარი ერთოდა.

ქაბუთა ამ კორპორაციას ჰქონდა თავისი სახელი და დევიზი, მათ მიერვე შეთხზული და საიდუმლოებით მოცული. „ღო-რი ღორ-ღორი“. ასე უწოდებდნენ ისინი საკუთარ ორგანიზაციას. ამ სანიმუშო ალიტერაციის ფორმულაში იშვიათი სინტეტიზობით ინსავებოდა ახალგაზრდა კულაკების ლოზუნგი და მოქმედების პროგრამაც.

თქვენ უკვე მიხვდით, მკითხველო, რომ საქობოს ღორთა და ტფილისის რიყის ქუჩას შორის რაღაც კავშირი უნდა იყოს, კოლექტივიზაციით გაბოროტებულნი, ტფილისში ლეგალიზებული ახალგაზრდა კულაკები ოსტატურად მუშაობდნენ. ტექნიკა ერთობ მარტივი და შესანიშნავი იყო, რკინის თავიანი კეტი, გალესილი დანა და კანეთის

მატარებელი, რომელშიაც ისე მგზავრობდნენ „ეტანთ და ლოლიანთ ტიტის ბიჭები“, როგორც მათ საქობოში ეძახიან, თითქოს მამის ურემიკო, თითო მგზავრობაზე თითო მათგანს მოჰქონდა 8 ღუთი ხორცი, — არა ნაკლები. შედიოდნენ პარვით გლვხკომის და გლვხების გომურებში, კეტის ერთი დაკვრით ღორს ადგილზევე სულს აცხებინებდნენ, იქვე ატყავებდნენ და ნაწლავებს აცლიდნენ. გათენებამდის ხორცი ხურჯინებში იყო და მახლობ-სოფლის-ანაგის ბაქანზე ელავა, შემდეგ ტფილისის საკოლმეურნეო ბაზარი, სადაც „ღარიბი სტუდენტები“ გირვანქობით ჰყიდდნენ ნაჭურდალს.

სტატისტიკა ჯერ-ჯერობით გვიჩვენებს, რომ „ღორი ღორ-ღორმა“ ამხვერპლა 33 სული ღორი, ერთი მუშა ხარი და ორი ცხვარი. საბოლოო ცნობები შეკრებილი არაა.

და იბადება კითხვა: სად იყო ადგილობრივი ხელისუფლება?

